



გამოცემის
102-ე წელი

www.gazetiajara.ge

**გაეროს ეროვნული
საავანტონო აჭარის
ჰიდრომეტეოროლოგიური
ობსერვატორიის წინაშე**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის მიმართულებით ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 9-14, შიდა-თიან რაიონებში - 5-10 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 754 მილიმეტრი.
მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ბამონდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№ 3 (25.027)

შაბათი, 14 - 16 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი

პირველი ნიუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის თავმჯდომარეობით, ერევანში ორი ქვეყნის მთავრობათაშორის ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომის დასრულების შემდეგ პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმადაც საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მოქმედი უფრო მიმოსვლა კიდევ უფრო გამარტივდება და ამერიკის შეერთებული შტატების ბიომეტრიული პირდაპირი მოქმედებით გადაკვეთენ. ხელი მოეწერა აგრეთვე ორ ქვეყანას შორის ვაჭრობასა და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე მთავრობათაშორისი კომისიის მე-12 სხდომის ოქმს.

საქართველოს პრეზიდენტმა 9 მსჯავრდებული შეიწყალა. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ისინი სრულად გათავისუფლდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან. შეწყალებულმა მსჯავრდებულებმა პენიტენციური დაწესებულებები გუშინვე დატოვეს.

ეს უბრალოდ დემონსტრირებაა იმ პროცესისა, რაც ჩვენთვის ისედაც ნათელი იყო - ზუსტად გიცით, რომ რუსეთის ფაქტობრივი მოქმედება, როდესაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, - ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიორგი ვოლსკიმ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ბოლო პერიოდში გავრცელებულ ფარულ აუდიოჩანაწერებს. „ამ საარჩევნო პროცესში ერთმანეთს დაუპირისპირდა ჩანაწერების ერთმანეთს მიყოლებული გარკვეული ფაქტები, რომელიც ერთი მხრივ პოლიტიკურ ბრძოლაში გამოყენებული მეთოდია, მეორე მხრივ კი ამცირებს საქართველოს, ქართულ საზოგადოებას, მის კულტურას და დამოკიდებულებას პროცესებისადმი“, - აღნიშნა ვოლსკიმ.

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობის მსურველთათვის რეგისტრაცია 13 იანვარს დაიწყო და 26 იანვარს დასრულდება. „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა ამომრჩეველს, მხარდამჭერს, გულშემატკივარს, დღეიდან შესაძლებლობა აქვს, ელექტრონულ პლატფორმაზე დარეგისტრირდეს და ბლოკჩინ ტექნოლოგიის გამოყენებით, 28 იანვრიდან ხმა მისცეს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ცვლადებს, მეტ ენერჯისა და მოძრაობას, რომელიც საქართველოს ევროპულ მომავალს მოუტანს, - განაცხადა ერთიან ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატის ლევან ხაბეიშვილის წარმომადგენელმა ლაშა ფარულავამ.

მომზადდა
ი ა შვედიაში

მთავრობა მნიშვნელოვანი პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას აანონსებს

მანანა ტაპიამ 593 10 15 17

გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილ პროექტებზე იმსჯელა აჭარის მთავრობამ 12 იანვარს გამართულ წლის პირველ სხდომაზე. მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, რეგიონი 2023 წელს გაზრდილი ბიუჯეტით შეხვდება, რომლის ფარგლებშიც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება, დაიგეგმა ახალი ინიციატივებიც.

საკითხების განხილვამდე, თორნიკე რიჟვაძემ ბოლო კვირას დიდთოვლობით გამოწვეულ გარკვეულ პრობლემებზე ისაუბრა, საგზაო დეპარტამენტსა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს დროული რეაგირებისთვის და განხორციელებული სამუშაოებისთვის მადლობა გადაუხადა, იმედი გამოთქვა, რომ უწყებები, მაღალმთიან აჭარაში მზარდი ტურისტული ნაკადების ფონზე, მომავალშიც კოორდინირებულად იმოქმედებენ.

თორნიკე რიჟვაძემ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილ სიახლეებზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, კვლავაც პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება სოციალური პროგრამები, გაიზარდა ეკომიგრანტების დაფინანსება. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ავარიული სახლების პროგრამას, რომელსაც ბათუმის მერია განახორციელებს.

- ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი, ჯანდაცვის და სოციალური პროგრამა დაგეგმეთ ახალი ბიუჯეტით. განსაკუთრებით, მინდა აღვნიშნო სიახლეები, რომლებსაც მიმდინარე წელს ჯანდაცვის სამინისტრო განახორციელებს. უკვე ამოქმედდა პროგრამა, რომლის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მშობელი, ასევე, ორსული მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 2000 ლარის ოდენობით. მინდა აღვნიშნო, რომ უკვე სრულად დაფინანსდება გულის ქირურგია. მიმდინარე წელს 220 ათას ლარამდე გაიზარდა ტრანსპლანტაცია. 2022 წლის პირველი ნოემბრიდან სრულად ფინანსდება ონკოდაავადებების მკურნალობა, არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა თვალის ბადურის მიმეტი დაავადებების შემთხვევაში. ახალი პროგრამები დაგეგმილია ალკოჰოლდამოკიდებული, ასევე ნარკოდიამოკიდებული პირების მიმართ და ისინი ისარგებლებენ არსებული პროგრამებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. ერთ-



ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება გახლავთ სოციალური პროგრამები. უნდა აღვნიშნო, რომ წელს პირველად, 10 000 ლარით გაიზარდა ეკომიგრანტების დაფინანსება და 40 000 ლარით განისაზღვრა. იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული დაფინანსება ხელს შეუწყობს ამ საკითხების სწორ და ეფექტურ გადაჭრას. პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტში ხორციელდება სოციალური სიახლების მშენებლობა. ქედისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში დაიწყო ახალი სოციალური სახლების პროექტირება და მშენებლობა, რომლის ბიუჯეტი 18 მილიონი ლარით განისაზღვრა. ბათუმში წარმატებით ხორციელდება იაფი სახლის პროგრამა, ერთი მასშტაბური მნიშვნელოვანი პროექტი უკვე სრულდება. პარალელურად დაიწყო ავარიული სახლების პროგრამა, აჭარის მთავრობა და ბათუმის მერია კოორდინირებულად განახორციელებენ ახალი მრავალბინიანი საცხოვრისი მშენებლობას, რაც 800-მდე ოჯახის პრობლემას გადაჭრის და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. მთავრობისთვის ტური-

ზმი კვლავაც რჩება პრიორიტეტული მიმართულებად, 60%-ით გაიზარდა დაფინანსება, რაც საშუალებას მოგვცემს, ყველა დაგეგმილი ღონისძიება განვახორციელოთ. წელს ვუმატებინათ როგორც ტურიზმის ოსკარის დაჯილდოების გალა ღონისძიებას, ისე ევროპის სოფლად ტურიზმის გენერალურ ასამბლეას. მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ასევე, ევროპის 21 წლამდელთა ჩემპიონატი. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ქალაქმა ღირსეულად უმასპინძლოს ყველა დაგეგმილ ღონისძიებას. მაღალმთიან აჭარაში ტურიზმის განვითარება კვლავაც რჩება მნიშვნელოვანი პრიორიტეტად და ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა დაგეგმილი. 25 მილიონ ლარზე მეტი დახმარება განათლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, რომელიც ახალი სკოლების მშენებლობას და სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას მოხმარდება. აღნიშნული ბიუჯეტით, ჯამში, 92-ზე მეტი სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდება, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

იხ. 22-2 33.

«2023 წელი გადამწყვეტი იქნება» 3

კახი, რომელიც ალაპაზოდა ბათუმს... 5

«აჭარის» წლის ნომინასიები 4

ისინი თავის გადაჩენისთვის იბრძვიან 7

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოირჩეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანმარებით თქვენს მისამა-

რთზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



რეგიონის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის გასაცნობად

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე იაპონელ ინვესტორთა ჯგუფს შეხვდა. ეს ჯგუფი დაინტერესებულია ქობულეთში, „მწვანე ქალაქის“ პროექტით და აქტიურად მუშაობს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ სტუმრებს რეგიონის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალი გააცნო. შეხვედრაზე განიხილეს რეგიონის ბიზნესგარემო, გაზრდილი ტურისტული ნაკადები, თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები. საინვესტიციო ჯგუფთან შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე და აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი თინა ზოიძე ესწრებოდნენ.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური



სამინისტრო არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას გვპირდება

მარტინა ბაბაიძე 514 22 22 80

აჭარის მუნიციპალიტეტების რესურსცენტრების ხელმძღვანელებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მათა ზაქაშვილი მოადგილე ქემალ სურმანიძესთან და განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელ ნაზირიას ბერიძესთან ერთად შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს 16 იანვარს სასწავლო პროცესის განახლებისთვის მზადობის საკითხი, ასევე 2023 წელს დაგეგმილი და განხორციელებელი პროექტები და ღონისძიებები, ისაუბრეს გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, წელს იგეგმება საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება. 20 საჯარო სკოლა აჭარაში აღიჭურვება სასკოლო ინვენტარით, 5 საჯარო სკოლის საკლასო ოთახები - ლექტორებით, პროექტორით, ეკრანით, ხმის აპარატურით და სხვა, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, 10 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსება ქართული და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საცამაწვილო, შემეცნებითი ხასიათისა და სხვა სახის ლიტერატურით, განხორციელდება 4 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის რემოდელირება-პროექტირება, ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვა, 3 საჯარო სკოლა მიიღებს მუსიკალურ ინსტრუმენტებს (პიანინო, გიტარა, დასარტყამი და სასულე ინსტრუმენტები), 10 - სპორტულ ინვენტარს (ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის

კომპლექტი, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის აღჭურვილობა, სხვ.) საჭიროების მიხედვით.

ქვეპროგრამის „ვასწავლოთ მომავალი წარმატებით“ ფარგლებში, გათვალისწინებულია: მასწავლებლის სახელფასო დანამატი მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში სწავლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით: მასწავლებელთა წახალისება; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, კერძოდ, ხულოსა და შუაქვიის მუნიციპალიტეტებში ცალკეული საგნების გაძლიერებული სწავლების უზრუნველყოფა.

ინკლუზიური განათლების ცენტრების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გათვალისწინებულია დაბა ქედის საჯარო სკოლასა და ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების ცენტრების ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ჩატარდება ოლიმპიადები და კონკურსები დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის. სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების მიზნით, სამინისტრო დააფინანსებს 20 სკოლის ბიბლიოთეკის პროექტს, რომელსაც წარადგენს სკოლა.

დაფინანსდება 10 სასკოლო კლუბის ინიციატივა, საგანმანათლებლო შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა. სამინისტრო ასევე დააფინანსებს აჭარაში 6 საზაფხულო სკოლის გახსნას.

ახალი რეჟორი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს ამერიიდან თემურ კეუერაძე უხელმძღვანელებს

ახალი რეჟორი, რომელმაც მათა ჭიჭილიაშვილი შეცვალა, 4 წლის ვადითაა არჩეული. ძველს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა. თემურ კეუერაძე აკადემიურმა საბჭომ ერთხმად გუშინვე აირჩია.

ერმილე მესხიამ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, ამიტომ სხვა კანდიდატურა, თემურ კეუერაძის გარდა, აღარ არსებობდა.

თეატრმცოდნე, პროფესორი თემურ კეუერაძე ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დაარსების დღიდან მუშაობს.

ბოლო პერიოდში იგი ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპ-



არტამენტს ხელმძღვანელობდა, ერთი პერიოდი კი ბათუმის დრამატული თეატრის დირექტორი გახლდათ.

ახალი რეჟორი სამომავლო გეგმის პროორიტეტებს შორის სასწავლო პროცესსა და ხარისხის გაუმჯობესებას ასახელებს.

სოციალურად დაუსვლელი ოჯახების ბავშვებისთვის

მარტინა ბაბაიძე 27 48 93

ქედის მუნიციპალიტეტში იმუშავებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტი: „მუნიციპალური შესაძლებლობების გაძლიერება ადრეული და სკოლამდელი აღზრდის, განათლების შესახებ კანონისა და ეროვნული სტანდარტების განხორციელებაში“

იგი სამუშაო შეხვედრაზე პროექტის კონსულტანტმა, თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ნინო ცინცაძემ წარადგინა.

პროექტის მიზანია სოციალურად დაუსვლელი ბავშვებისთვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა და მათი ჩართულობის გაუმჯობესება, მუნიციპალური სტრატეგიის შემუშავება.

წარდგინებას ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი, წარმომადგენლობითი ორგანოების, ქედის რესურსცენტრის, ბავშვების გაერთიანების ხელმძღვანელები, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სტრუქტურული ერთეულის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



მთავრობა მნიშვნელოვანი პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას აანონსებს

პირველი გვერდიდან

მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ ორ საკითხზე იმსჯელეს. ერთ-ერთი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობას ეხებოდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტყარაძის განმარტებით, წელს, ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, არაერთი სახელო იგეგმება.

- საკმაოდ აქტიური წელი გვექონდა. გრძელდება ინვესტიციების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ ნოემბერ-დეკემბერში 43 მილიონი ლარის ღირებულების ქონების პრივატიზაცია განხორციელდა, რის შედეგადაც, საერთო ჯამში, 121 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება. აუცილებელია, დროულად გაგრძელდეს ყველა დაგეგმილი პროექტი როგორც



სამინისტროში, ისე ყველა მუნიციპალიტეტში. წელს გაზრდილია ბიუჯეტი, აუცილებელია დროულად გამოცხადდეს ყველა ტენდერი და გაფორმდეს კონტრაქტები ყველა სამ-

შენებლო სამუშაოზე. ვაპირებთ, უახლოეს პერიოდში გაერთიანებული შეხვედრა გავმართოთ როგორც აჭარაში მოქმედ, ისე ქვეყნის მასშტაბით არსებულ სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე ყველა კომპანიასთან, რათა მათ უფრო კარგად გააცნოთ ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი სიახლეები. ბიუჯეტის 65 პროცენტი სწორედ ამ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხმარდება და მნიშვნელოვანია მათი დროული დაწყება. მთავრობის სხდომაზე, ორი საკითხი განვიხილეთ, რომლებიც საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობას ეხებოდა. ორივე კომპანიას დამატებით მიეცა ვადა, საბანკო გარანტიების წარმოსადგენად, რაც ადებული ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს, - განაცხადა ჯაბა ფუტყარაძემ.



ხულოს თეატრის დასს ახალგაზრდები შეემატნენ

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

დღეს ქართული თეატრის დღეა. მოგვსენებთ, თეატრალურ ხელოვნებას უდიდესი როლი აკისრია ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში. იგი რეალურად ასახავს მათ ყოველდღიურობას. გამოიყენებს ვერცხულოს სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრისა. ჩვენი სტუმარია მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, პროფესორი **თამაზ ბოლქვაძე**.



- ბატონო თამაზ, ქართული თეატრის დღეს სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში პირველად ხვდებით. რა დაგხვდათ და რა სიახლეებს გეგმათ?

- თეატრი დამხვდა თავისი 86-წლიანი ისტორიით. იგი ერთგვარი ცოცხალი სამყაროა თავისი შემოქმედებითი პროცესებით, აღმასვლებით, სტაბილურობით, თუმცა გარკვეულ პერიოდში იყო შეფერხებებიც... ჩემი და დასის ამოცანაა, მივაწოდოთ ნებისმიერი ასაკის მაყურებელს ღირებული სპექტაკლები. სეზონი გაიხსნა გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოების „ხორუმი ქართული ცეკვა“ (რეჟისორი - მერაბ ლებანიძე) მიხედვით შექმნილი დადგმით. განახლდა სპექტაკლი „ომის ღმერთი“ (რეჟისორი - ოთარ ქათამაძე), სასკოლო ასაკის მოსწავლეებისთვის შანს ქრისტინ ანდერსენის „თოვლის დედოფალი“ დაიდგა (რეჟისორი - ვახტანგ ბერიძე), იდეის ინიციატორი და დამფინანსებელი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თანაინიციატორი ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი. ამჟამად ვიწყებთ რეპეტიციებს ფრანგ დრამატურგ ფრანსის ვებერის პიესაზე „ბრიყვთა ვანშამი“, შემდგომში - იანუშ გლოვაცის პიესაზე „ანტიგონე ნიუ-იორკ“

ში“, ცოტა მოგვიანებით სპექტაკლს დადგამს მოწვეული რეჟისორი (მიმდინარეობს შერჩევა).

- დასში რა ვითარებაა?
- გარკვეულ ეტაპზე თეატრში ჩნდება დასის გადახალისება-შერჩევის აუცილებლობა, ამჯერად შეგვემატა საკმაოდ ნიჭიერი და პერსპექტიული 4 ახალგაზრდა მსახიობი.
- თავის დროზე კეთლი საქმე გაკეთდა, როცა ხულოს თეატრისთვის სპეციალური

ცენტრის წარმომადგენლობა, ეს იქნება სამომავლოდ ხულოს დრამატული თეატრის ახალგაზრდული დასი.

- ქვეყანაში კი არა, ევროპაშიც იშვიათობაა ისეთ ბერიფერიაში, როგორც ხულოა, ამ სტატუსის თეატრის არსებობა. ეს გამოწვევა დასს, სამხატვრო ხელმძღვანელს რა პასუხისმგებლობის წინაშე გაყენებთ?
- თეატრი მუდმივად უნდა იყოს დამუხტული შემოქმედებითი პროცესებით, მიუხე-

- საზოგადოებას ის წლებიც ახსოვს, როცა რეპეტიციები და ბრემიერები გაყინულ დარბაზში იმართებოდა. ახლა?

- საკმაოდ ნორმალური პირობებია რეპეტიციებისა და სპექტაკლების ჩვენებისთვის, რაც ყველას თანადგომამ განაპირობა.
- მსახიობები, პერსონალი მწირი სახელფასო ანაზღაურებით უკმაყოფილო იყო...
- ქვეყნის მასშტაბით, სამთავრობო დაწესებულებების საფუძველზე, ხულოს მუ-



ჩვენი მომზადდა, თუმცა მათგან ძალიან ცოტა დარჩა ხულოში. არადა, თაობათა ცვლის პროცესის აუცილებლობაა.

- მუნიციპალიტეტის მერის, ხულოს რესურსცენტრის ჩართულობით, ვაპირებთ

„ მუნიციპალიტეტის მერის, ხულოს რესურსცენტრის ჩართულობით, ვაპირებთ საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის ჩვენთან თეატრალური სტუდიის გახსნას, სადაც ისინი მომზადდებიან აბიტურიენტებად, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში სამსახიობო სპეციალობაზე წარსავზავნად. აქვე მინდა აღვნიშნო მნიშვნელოვანი ფაქტი - აბიტურიენტთა შორის სოციალურად შეჭირვებული ოჯახების ახალგაზრდებს მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს ხულოს მუნიციპალიტეტის მერია

დავად მისი პერიფერიული, გეოგრაფიული მდებარეობისა. აქტიურად დავიწყეთ რეპეტიციები, რაც სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანს, დასი სრულად მობილიზებულია. ხულოში ნამდვილად დამხვდა ის პოტენცია-

ნიციპალიტეტმა თეატრის ბიუჯეტის ნაშატი განსაზღვრა 33 პროცენტით, რითაც მოცემული სახელფასო ლიმიტიდან მსახიობების ანაზღაურებითი საარგო გაიზარდა საშუალოდ 41%-ით. ხელისუფლების თანადგომამ მიქ-

საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის ჩვენთან თეატრალური სტუდიის გახსნას, სადაც ისინი მომზადდებიან აბიტურიენტებად, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში სამსახიობო სპეციალობაზე წარსავზავნად. აქვე მინდა აღვნიშნო მნიშვნელოვანი ფაქტი - აბიტურიენტთა შორის სოციალურად შეჭირვებული ოჯახების ახალგაზრდებს მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს ხულოს მუნიციპალიტეტის მერია. სასურველია, ამ ინიციატივას შეუერთდეს შუახვევის მუნიციპალიტეტი და რესურს-

ლი, რომელსაც ძალუძს, თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს.

- თეატრალურ საზოგადოებას, მოქმედი დასის წევრებს ახსოვთ ის მასტერკლასები, რომლებსაც თეატრმცოდნეები, სახელოვანი რეჟისორები ატარებდნენ. ეს პროცესი გაგრძელდება?

- ეს უკვე აპრობირებული პროცესებია. გამოცდილების გაზიარება, თანამედროვე თეატრების მიღწევების შეხვედრებით გაცნობა, საჭიროდ მიმაჩნია. გვექნება მოწვევები, გაგრძელდება მასტერკლასები.

მნის იმედს, რომ თეატრს ექნება წარმატებები არა მარტო საბიუჯეტო მატების მიმართულებით, არამედ სხვა საინტერესო პროექტების განხორციელების თვალსაზრისითაც.

- დროის მაჩისცემას, ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებს როგორ პასუხობთ?

- თეატრი არ არის არც პოლიტიკური პლატფორმა და არც სასამართლო დარბაზი. მთავარია, სპექტაკლი მხატვრულ-შემოქმედებითი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს მაყურებლის როგორც მოქალაქეობრივ, ასევე აზრობრივ და ესთეტიკურ მოთხოვნას. ის თავად განსაზღვრავს, რაში დაგეთანხმოს და რაში არა...

- 86 წელია, ხულოში თეატრი არსებობს. რის გაკეთებას აპირებთ იმ ადამიანების უკვდავსაყოფად, რომლებმაც კულტურის ეს კერა დღემდე მოიტანეს?

- პატივგებას!.. ეს ჩემი აქ მუშაობის ქვაკუთხედი იქნება. წარსულის არდავიწყება მომავლის მტკიცე საფუძვლად მიმაჩნია. ამჟამად თეატრის მცირე ენციკლოპედიულ მუშაობს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი გოგი დოლიძე (მე მას ვუსურვებ ხანგრძლივ შემოქმედებით მოღვაწეობას). ენციკლოპედია გამოიცემა როგორც სტამბური, ასევე ელექტრონული ვერსიითაც... ხულოს თეატრს საპატიო ადგილი ექნება მიჩნეული.

- თანამედროვე ქართველი დრამატურგების, მწერლების ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლები თუ დაიდგება?

- ქართველი დრამატურგების ღირებული პიესები აუცილებლად იქნება თეატრის რეპერტუარში. ვისარგებლებ შემთხვევით და ქართული თეატრის დღეს და ახალ წელს მივულოცავ ყველას. ჩემი ადგილის დედა ხულო და სოფელი ძირკვაძეებია. გარემოებათა გამო, დროებით მოცილებული ვიყავი აქაურობას. ამჯერად მერგო პატივი, ისევ ხულოელთა სამსახურში ჩავდგე. ქართული თეატრის დღეს სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში პირველად ვხვდები. წარმატებები ჩვენს თეატრს მის დასს, ტექნიკურ მუშაკებს, ქვეყანას - მშვიდობა და განვითარება.

